სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი **2023 წლის 31 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. საბა გოგიბერიძე 4. ელენე გაჩეჩილაძე 5. ილია თავხელიძე 6. ლია მაჭავარიანი 7. ნათელა არჩვაძე 8. ამირან ბიბილაშვილი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. მარიამ ვარდოსანიძე 11. ვასილ ბერიძე 12. დავით შუბითიძე 13. მარინა გარიშვილი 14. მაია ივანიძე 15. ბარბარა მახარაძე 16. საბა ქვათაძე 17. თამარ ჯინჭარაძე 18. ალექსანდრე გაბაშვილი 19. ნინო პაქსაშვილი 20. ვლადიმერ გამსახურდია 21. იზაბელა პეტრიაშვილი 22. ბარბარე მამაგეიშვილი 23. ვლადიმერ მარგველაშვილი 24. გიორგი პატარაია 25. ანა ფაშაევა 26. კახაბერ ლორია 27. ელისაბდ ბუალავა 28. მანანა რუსიეშვილი 29. ლერი თავაძე 30. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 31. ინგა სანიკიძე 32. საბა გიორგაძე 33. ნათია კორაშვილი 34. ლუკა მამალაშვილი 35. ზურაბ გაიპარაშვილი 36. ნინო პავლიაშვილი 37. ციური სუმბაძე 38. სოფიო ხუციშვილი 39. ლალი ახალბედაშვილი 40. თეიმურაზ მაჩაიძე 41. თამილა ჩალაძე 42. გიორგი მამარდაშვილი 43. ედიშერ ფუტკარაძე 44. მანანა ნიკოლაიშვილი 45. მარინა გურგენიშვილი 46. მარინე ხუციშვილი 47. გვანცა გვანცელაძე 48. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ავთანდილ ამირანაშვილი 3. ნათელა ანანიაშვილი 4. მიხეილ ბახტაძე 5. მარინე ზაუტაშვილი 6. გია ლობჟანიძე 7. ნინო სადრაძე 8. ავთანდილ სილაგაძე 9. გოჩა ფერაძე 10. ალექსანდრე ღონღაძე 11. თამაზ ყარალაშვილი 12. ნუგზარ შავლაყაძე 13. მორის შალიკაშვილი 14. რევაზ შანიძე 15. ნინო შარაშიძე 16. მარინე ჩიტაშვილი 17. მარი წერეთელი 18. მზია წერეთელი 19. მანანა ხაჩიძე 20. მამუკა ხუსკივაძე (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №25/2023 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)
3. ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (10.03.2023 წლის #1 სხდომის ოქმი) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ (მომხსენებელი: სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი/თავმჯდომარე: ლერი თავაძე)

დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად;

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №25/2023 დადგენილებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩეული იქნა შოთა ფოთოლაშვილის კანდიდატურა და კანონით დადგდენილი წესით, მისი კანდიდატურა დასამტკიცებლად წარმოდგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე. ასევე აღინიშნა, რომ კანდიდატის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, დადგენილ ვადაში მიწოდებული იქნა სენატის წევრებისათვის გასაცნობად.

კანდიდატმა, შოთა ფოთოლაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაზე, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა მუდმივად განახლებადი პროცესია, რომელიც უნდა პასუხობდეს როგორც დღევანდელ, ასევე სამომავლო პროგნოზირებად გამოწვევებსა და სირთულეებს წინასწარ დაგეგმილი/განსაზღვრული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, პროცესის წარმატებით და ეფექტიანად წარმართვისთვის

მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იყოს ყოვლისმომცველი, ეფექტური (როგორც დროში, ასევე ფინანსურად), ინკლუზიური (ყველა აქტორის პროცეში ჩართვის შესაძლებლობით), ლოგიკური, გამჭვირვალე და სხვ. საგანმანათლებლო საქმიანობის ადმინისტრირების ნებისმიერ დონეზე გადაწყვეტილებები უნდა აძლიერებდეს უნივერსიტეტის გაცხადებულ საბოლოო სტრატეგიასა და მიზანს. ასევე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი კონცეფცია მოიაზრებს რამდენიმე მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ზრდას, კერძოდ, ესენია: უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობა, საგანმანათლებლო პროგრამების განახლება/შემუშავება, შეთავაზებული სასწავლო კურსების, სასწავლო მასალისა და სასწავლო კურსებზე სტუდენტთა განაწილების მონიტორინგი, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტენაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება, კვლევა და მეცნიერება, სწავლა-სწავლების მხარდაჭერა, სტუდენტთა ჩართულობა, ცვლილებების მიმღებლობა, შეფასება და ანგარიშვალდებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა წლების მიხედვით გაწერილი სამოქმედო გეგმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №25/2023 დადგენილება და შოთა ფოთოლაშვილი დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე (დანართი 3);

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ წარმატებები უსურვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს მომავალ საქმიანობაში. ამის შემდგომ, კიდევ ერთხელ მიმართა სენატის წევრ სტუდენტებს, სტუდენტურ ჯგუფებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან დიალოგის დაწყების თხოვნით. აღნიშნა, რომ სტუდენტთა ჩართულობა და დიალოგის გახსნა მნიშვნელოვანია. რექტორმა

ისაუბრა ასევე ავტოპარკის განახლებისთვის გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე, შეეხო თსუ სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის საკითხებს და უნივერსიტეტის კანცლერს მიმართა შესაბამისი პროცედურების დაწყების თაობაზე თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და გაზეთ „უნივერსიტეტის“ შერწყმის მიმართულებით. ისაუბრა შიდა აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილში არსებულ შესაძლო გადაცდომების არსებობაზე და აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, კანონით გათვალსიწინებული ყველა ზომის, მათ შორის შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის აუცილებლობაზე. აღნიშნულ საკითხზე კონტროლის განხორციელება კი დაავალა უნივერსიტეტის კანცლერს. აქვე აღინიშნა, რომ თსუ რექტორმა და რექტორის აპარატმა უარი განაცხადა ყველა სამეურნეო ხარჯზე.

თსუ რექტორმა ასევე ისაუბრა საერთო საუნივერსიტეტო ქარტიის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც გააერთიანებს მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებას და რომლის მიზანი იქნება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვა. აღინიშნა, რომ იდეა მოწონებულია აკადემიური საბჭოს მიერ, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ჩართულობით, რომელთაც ეთხოვათ მსოფლიო უნივერსიტეტების მაგალითებზე, დოკუმენტის პროექტის მომზადება. აღინიშნა, რომ საბოლოო სახით დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება თსუ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებზე დასამტკიცებლად. თსუ რექტორმა მოუწოდა სენატის წევრებს, აღნიშნული საკითხის განხილვისას, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მაქსიმალური ჩართულობისაკენ.

აღინიშნა, რომ ასევე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტზე ერთიანი სტრუქტურის ჩამოყალიბების მიმართულებით, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა ფაკულტეტების სტრუქტურასთან დაკავშირებით. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილების მიზანია ზედემეტი ბიუროკრატიის თავიდან აცილება, ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, ღირსეული ანაზღაურების უზრუნველყოფა და ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი მოხმარდება ისევ კონკრეტულ ფაკულტეტს.

თსუ რექტორმა ასევე ისაუბრა საუნივერსიტეტო კლინიკის ქონის აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ მიუხედავად უნიკალური შანსის ხელიდან გაშვებისა, ჯერ კიდევ არსებობს რესურსი ამ მიზნის მისაღწევად და ამ კუთხით მუშაობა გრძელდება. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო შეკითხვის პასუხად განმარტა, რომ დაპირებული სტუდენტური სივრცე უკვე შერჩეულია ბიბლიოთეკის ქვედა ნაწილში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამ სივრცის მოცულობიდან გამომდინარე, მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ასევე

დამატებითი შემოსავლების მიღების კუთხითაც. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ინგა სანიკიძის შეკითხვის პასუხად, თსუ რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა უნივერსიტეტის მე-7 კორპუსში გათბობის სისტემის მოწესრიგების აუცილებლობაზე, ვინაიდან სხვა შემთხვევაში აღნიშნულ შენობაში სწავლის პროცესის წარმართვა საფრთხისშემცველი იქნება და ამის დაშვება არ შეიძლება.

2. ადმინისტრაციის უფროსმა, ლაშა საღინაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2022 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებს. აღინიშნა, რომ ანგარიში კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში გადაეგზავნათ როგორც აკადემიური საბჭოს, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს. მომხსენებელმა ისაუბრა პერსონალის რიცხოვნობის, ასევე სახელფასო ანაზღაურების შესახებ. აღინიშნა, რომ მიუხედავად 20% შემცირებისა, პერსონალის რიცხოვნება არ არის ოპტიმალური, ამასთან სხვადასხვა კატეგორიის პერსონალისათვის სახელფასო ანაზღაურების ზრდის მიუხედვად, ანაზღაურებაც არასაკმარისია. აღინიშნა, ინფლაციისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდაზე, საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის ცვლილების აუცილებლობაზე და სხვა... აღინიშნა, რომ სახელმწიფო წილი თსუ ბიუჯეტში შედაგენს მხოლოდ 18 %. მომხსენებლის განმარტებით უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, ასევე მომხსენებელმა ისაუბრა ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე, მათ შორის დაგეგმილ სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობაზე, სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამებზე, სამეცნიერო-კვლევების და ინოვაციის ხელშეწყობაზე და სხვა...

ანგარიშის განხილვა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თსუ კანცლერს შეკითხვებით მიმართეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ილია თავხელიძემ, ნოდარ ლომიძემ, ზურაბ გაიპარაშვილმა, ალექსანდრე გაბაშვილმა. შეკითხვები შეეხებოდა სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტისათვის დაფინასების ზრდის პერსპექტივას, მათ შორის მეცნიერების ხელშეწყობის მიმართულებით, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, უნივერსიტეტის გარე სივრცეების მოწყობის საკითხებს, თსუ წარმატებულ კურსდამთავრებულთა ჩართვის აუცილებლობას უნივერსიტეტის ცხოვრებაში და მათი გამოცდილების გაზიარების საჭიროებას, მეტ კომუნიკაციას თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის და ამ მიზნით პერიოდული შეხვედრების დაგეგმვის აუცილებლობას, ბიბლიოთეკაში კლიმატ-კონტროლის დანადგარების შეძენის საკითხს, ასევე ბიბლიოთეკის შენობაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის არსებობის აუცილებლობას. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხებს და ისაუბრა მომავალში დაგეგმილ ღონისძიებებზე.

 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა თსუ კანცლერს გაწეული საქმიანობისთვის და უნივერსიტეტის კანცლერს მიმართა კონკრეტულ საკითხზე რეაგირების თხოვნით. აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის დეკემბრის დადგენილებით ზოგიერთი საჯარო

დაწესებულებისათვის განისაზღვრა ემბლემის გამოსახვის წესი, კერძოდ, სავალდებულო გახდა საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახვა და აქედან გამომდინარე, 2023 წლის 1 ივლისამდე ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს ამ სახით შესაბამისი ბლანკის ნიმუშების დამტკიცება. აღნიშნა, რომ მისაღებია შესაბამისი ზომები, რათა აღნიშნული მოთხოვნა არ გავრცელდეს ჩვენ უნივერსიტეტზე, რომელსაც აქვს თავისი ოფიციალური სიმბოლიკა - გერბი, ასევე სასურველი იქნება უცხოენოვან წარწერასთან ერთად ქართული ანბანის შრიფტის გამოყენება. უნივერსიტეტის კანცლერმა გამოხატა მზაობა, რათა შესაბამისი წერილით მიემართოს სათანადო უწყებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის ანგარიში წარმოდგენილი სახით (დანართი 4);

3. დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ლერი თავაძემ აღნიშნა, რომ თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განიხილა თსუ აუდიტის შიდა სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიში, რომლითაც სამუშაო გეგმის მიხედვით, განხორციელდა უნივერსიტეტის გამომცემლობის საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობის შერჩევითი შემოწმება, თსუ–ის სტამბის სახარჯი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ბუღალტრული და ფაქტობრივი ნაშთების შედარება.
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, საქმეში მონაწილე პირების ახსნა-განმარტებების მოსმენის, ასევე არსებული და წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე, შემუშავებული იქნა გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც სხდომის ოქმის სახით გადაეგავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს. რეკომენდაციები შემდეგი სახისაა:

1) თსუ რექტორმა და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ასევე, თსუ-ს შესაბამისმა სამსახურებმა მხედველობაში მიიღონ თსუ შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში (07.03.2023) და გაითვალისწინონ მასში არსებული რეკომენდაციები.
2) თსუ გამომცემლობის უფრო ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, მოხდეს აღნიშნული გამომცემლობის სტრუქტურული რეორგანიზაცია;

3) შეიცვალოს თსუ გამომცემლობის დებულება;
4) თსუ შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის შოთა ჭანტურიძის მოხსენებითი ბარათი (#5940/10) დანართების ჩათვლით გადაეცეს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 48

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შექმნილის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მიღებული იქნას ცნობად და გადაეგზავნოს თსუ რექტორსა და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შესაბამისი რეაგირებისათვის.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ზურაბ გაიპარაშვილი დაინტერესდა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა გამომცემლობის სტრუქტურულ რეორგანიზაციაში და ჰქონდა თუ არა ჯგუფს რაიმე მოსაზრება ამ კუთხით?! სენატის წევრმა ნოდარ ლომიძემ დასვა შეკითხვა, დასაწყობებული წიგნების თემა რამდენად არის ის საკითხი, რომელსაც წყვეტს გამომცემლობა, რამდენად არის აღნიშნული მათი უფლებამოსილების სფეროში?! გამომსვლელებმა, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ილია თავხელიძემ, მანანა რუსიეშვილმა, ინგა სანიკიძემ, მარინა გარიშვილმა ისაუბრეს ზოგადად გამომცემლობის როლზე და მნიშვნელობაზე, გამომცემლობაში დასაქმებული პერსონალის დაუღალავ საქმიანობაზე და მათ პროფესიონალიზმზე, გამოხატეს მადლიერება მათ მიერ გაწეული საქმიანობის გამო. აღნიშნეს, რომ შესაძლოა არსებობდეს მარკეტინგის კუთხით გარკვეული პრობლემები, ასევე იკვეთებოდეს საგამომცემლო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, თუმცა გამომსვლელების აზრით, გამომცემლობის საქმიანობა უდაოდ დასაფასებელია.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის აზრით, საჭიროა მეტი ეფექტურობა გამომცემლობის საქმიანობაში, რათა იგი იყოს მეტად შემოსავლიანი და მომგებიანი.

დისკუსიის დასასრულს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა მამუკა მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა წარმომადგენლობითი საბჭოს სამუშაო ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ გამომცემლობა მნიშვნელოვანია და საჭიროა არსებულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 31 მარტის #2 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესაშვილი -

4. ლელა ბახტაძე -

5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -

2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით შუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი- ა. გ ბ ა შ ვ ი ლ ი

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია- ვ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფანდაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბყალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მიწერალური წედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2,

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს

წევრთა სია (2023 წლის 31 მარტი, #2 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გაგნიძე ნონა
8. გავაშელი ცისანა
9. გონაშვილი ვასილ
10. ზაუტაშვილი მარინე
11. კოპალეიშვილი მაია
12. კუხიანიძე ალექსანდრე
13. ლობჟანიძე გია
14. ლომიძე გაგა
15. მაღრაძე ვახტანგ

16. მინდაძე ნინო

17. სადრაძე ნინო

18. სილაგაძე ავთანდილ

19. ფერაძე გოჩა

20. ფურთუხია ომარ

21. ქიტიაშვილი ზაქარია

22. ქურდაძე რამაზ

23. ღონღაძე ალექსანდრე

24. ყარალაშვილი თამაზ

25. შავლაყაძე ნუგზარ

26. შალიკაშვილი მორის

27. შანიძე რევაზი

28. შარაშიძე ნინო

29. შენგელია თემური

30. ჩიტაშვილი მარინე

31. ცაგარელი ზურაბ

32. ცისკარიძე ალექსანდრე

33. წერეთელი მარი

34. წერეთელი მზია

35. ხარაიშვილი ეთერ

36. ხაჩიძე მანანა

37. ხუსკივაძე მამუკა

38. ხუციშვილი ქეთევან

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 25/2023 20 მარტი 2023 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩეულ იქნეს **შოთა ფოთოლაშვილის** კანდიდატურა.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 7718/10
23/03/2023

7718-10-3-202303231434

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №25/2023 დადგენილებას.

დანართი: 1 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელობის კანდიდატი

შოთა ფოთოლაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

საგანმანათლებლო საქმიანობა მუდმივად განახლებადი პროცესია, რომელიც უნდა პასუხობდეს როგორც დღევანდელ, ასევე სამომავლო პროგნოზირებად გამოწვევებსა და სირთულეებს წინასწარ დაგეგმილი/განსაზღვრული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც უწყვეტი პროცესი მოიაზრებს მუდმივ მზაობას განახლებასა და გაუმჯობესებისთვის. მზაობა კი თავის მხრივ, გამოიხატება სწორად დაგეგმვას, შეფასებას, იმპლემენტაციასა და მოქმედებაში. ეს არის სტრატეგიებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომლითაც მიიღწევა საბოლოო მიზანი. ამავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფა პირდაპირ დაკავშირებულია კონკრეტულ საკანონმდებლო თუ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, რომელთა შესაბამისადაც უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც პროცესი, მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც უცხო და საგამონაკლისო არც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის (შემდგომში - უნივერსიტეტი) უნდა იყოს. პროცესის წარმატებით და ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იყოს: **ყოვლისმომცველი**, **ეფექტური** (როგორც დროში, ასევე ფინანსურად), **ინკლუზიური** (ყველა აქტორის პროცესში ჩართვის შესაძლებლობით), **ლოგიკური**, **გამჭვირვალე** და სხვ. საგანმანათლებლო საქმიანობის ადმინისტრირების ნებისმიერ დონეზე გადაწყვეტილებები უნდა აძლიერებდეს უნივერსიტეტის გაცხადებულ საბოლოო სტრატეგიასა და მიზანს.

ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ერთ-ერთი გადამწყვეტია შიდა და გარე შეფასების მექანიზმების ეფექტური ინტეგრირება როგორც მათი ფორმის, ასევე შინაარსის გათვალისწინებით. პროცესისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეფასებები წარიმართოს ღიად, ყველა საჭირო სტრუქტურული რგოლის ჩართულობითა და შედეგებზე ეფექტური რეაგირებით. ეს უკანასკნელი დიდწილად განსაზღვრავს დაწესებულების რეალურ მზაობას უპასუხოს გამოწვევებს და დარჩეს კონკურენტუნარიანი. ამ მხრივ მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს/გაძლიერდეს უნივერსიტეტის მხრიდან გასატარებელ ღონისძიებათა მოდელი, რათა საბოლოოდ საგანმანათლებლო საქმიანობა ორიენტირებული იყოს სტუდენტის კრიტიკული

აზროვნების უნარების გაძლიერებასა და მეტი შესაძლებლობის ხელმისაწვდომობაზე, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ინსტიტუციური შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭირო გაუმჯობესებების ჯეროვან და ეფექტურ უკუკავშირზე. საბოლოოდ, დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არის საგანმანათლებლო საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები.

თანამედროვე სამყაროში, საგანმანათლებლო დაწესებულებები ფოკუსირებულნი არიან სწავლა-სწავლების, კვლევისა და მეცნიერების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე, რადგან შეძლონ მეტი აქტორის მოზიდვა და გახდნენ კონკურენტუნარიანნი. უახლოეს წარსულში მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოს გეო-პოლიტიკურ არეალში, არსებულმა სირთულეებმა (პანდემია და სხვა ფაქტორები) საგანმანათლებლო დაწესებულებები დააყენა კონკრეტული გამოწვევების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მიღებული გამოცდილება გარკვეულწილად ატარებს ნეგატიურ კონტექსტს, უაღრესად მნიშვნელოვანია, მიღებული გამოცდილება სწორად იქნეს შეფასებული და საჭიროების შემთხვევაში - დანერგილიც. ეს ეხება როგორც სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული კომპონენტის ზრდას, ასევე ელექტრონული რესურსების მეტად გაფართოებას და სხვ.

უნივერსიტეტმა ავტორიზაციის ფარგლებში უნდა შეიმუშავოს მისია და სტრატეგია, რომელიც იქნება რელევანტური, რაციონალური, მკაფიოდ ფორმულირებული და უნივერსიტეტის საქმიანობის შესაბამისი, ასევე უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მისიის და მიზნების მიღწევის ჯეროვანი მხარდაჭერა, ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვის გზით.

სწორედ ზემოაღნიშნულ სტანდარტებსა და გამოწვევებს უნდა პასუხობდეს უნივერსიტეტიც, რომელიც რეგიონში გამორჩეულია არაერთი თვალსაზრისით, თუმცა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი (მობილობის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა, კურსდამთავრების ტენდენცია, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვ.), როგორც მინიმუმ, ყურადსაღებია. ნებისმიერი შედეგობრივი გაუარესება არის კონკრეტული ფაქტორებით განპირობებული და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დაძლევადია რაციონალური და მიზანმიმართული რეაგირებით.
დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტში სწავლობს 24 000-მდე სტუდენტი (უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე), ხორციელდება 200-ზე მეტი საგანმანათლებლო

პროგრამა და იკითხება 3000-მდე სასწავლო კურსი. ცხადია, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით მონაცემები თვალშისაცემია, თუმცა არის მიმართულებები, რაც მკაფიოდ გამოხატავს არსებულ და სამომავლო გამოწვევებს.
აქვე, საილუსტრაციოდ წარმოვადგენ უკანასკნელი 5 წლის ტენდენციის ამსახველ რამდენიმე საყურადღებო მონაცემს:

ინსტიტუციური განვითარების გზაზე (მათ შორის და არამხოლოდ, წარმოდგენილი მონაცემების გაუმჯობესების მიზნით) აუცილებელად მივიჩნევ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებს. წარმოდგენილი კონცეფცია მოიაზრებს რამდენიმე მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ზრდას:

<u>უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობა</u> - უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის

საზოგადოებისთვის გაზიარების მექანიზმები, ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ღონისძიებებში. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მეტად უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო დასკვნების შემუშავებასა და სხვ.

<u>საგანმანათლებლო პროგრამების განახლება/შემუშავება</u> - უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა შეაფასოს და განაახლოს მისი საგანმანათლებლო პროგრამები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი მოთხოვნებისა და ხარისხის დაკმაყოფილება. ეს პროცესი უნდა წარიმართოს შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, სადაც აქტიურად უნდა ჩაერთოს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ასევე მესამე პირები (დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, კურსდამთავრებულები და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტის წილი და დაინერგოს სწავლების განახლებული მეთოდები/ტექნოლოგიები. თითოეული პროგრამის განახლების ან გაუქმების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა გაიზარდოს საბაზრო ეკონომიკის გამოწვევებისა და ფორმირების შესწავლა, მეტად მოხდეს შრომის ბაზარზე ორიენტირება და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნები.
პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის უმნიშვნელოვანესია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირი, რადგან სწორედ ისინი არიან პროდუქტის ძირითადი ადრესატები. მისასალმებელია ერთობლივი და ინტერდისციპლინური საგნმანათლებლო პროგრამების რაოდენობის ზრდა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობები არაერთი მიმართულებით.

<u>შეთავაზებული სასწავლო კურსების, სასწავლო მასალისა და სასწავლო კურსებზე სტუდენტთა განაწილების მონიტორინგი</u> - საუნივერსიტეტო რესურსის სწორი განაწილებისა და დაგეგმარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია არამხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგი, არამედ საგანმათლებლო პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების, სასწავლო მასალისა და სტუდენტთა განაწილების მონიტორიგნი. უნივერსიტეტის რესურსები არ არის ამოუწურავი, უნივერსიტეტს სჭირდება მნიშვნელოვანი

დაფინანსება ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვისების განსახორციელებლად. თუმცა, ფინანსური რესურსი შეზღუდულია და უნივერსიტეტს უწევს დარჩეს კონკურენტუნარიანი არსებული ფინანსების ფარგლებში. შესაბამისად, არსებული რესურსების ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის (როგორც დროში, ასევე ფინანსური კუთხით) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახლავთ ხსენებული მონიტორინგის პროცესის ჯეროვნად და გამჭვირვალედ წარმართვა.

<u>საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება</u> - უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ბოლონიის პროცესის პრინციპების გაჯერებასა და იმპლემენტაციას. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა მოახდინოს მისი პროგრამების აკრედიტაცია საერთაშორისოდ აღიარებული ორგანოებისგან (ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია, FIBAA, ABET და სხვ.) და რეგულარულად შეაფასებინოს უცხოელ აქტორებს მისი პროგრამებისა თუ სერვისების ხარისხი. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი/ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

<u>კვლევა და მეცნიერება -</u> უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტირება ახალი ცოდნისა და ინოვაციების წარმოებისთვის, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოებისთვის. ეს გულისხმობს დაფინანსების, საშუალებებისა და რესურსების უზრუნველყოფას კვლევის მხარდასაჭერად. უნივერსიტეტის მხრიდან დანერგილი უნდა იქნეს კვლევის მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმები და, რაც მთავარია, კვლევებმა უნდა შეიძინონ მეტად ინტერნაციონალური ხასიათი. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს კვლევითი საქმიანობის შეფასების ხელშესახები ინდიკატორები.

<u>სწავლა-სწავლების მხარდაჭერა -</u> უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ამაში მოიაზრება არამხოლოდ ადმინისტრირების მექანიზმები, არამედ წვდომა სხვადასხვა რესურსზე და ა.შ. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ამ კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ურთიერთდამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობასა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებასთან. მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნებისა და საჭიროებების

დაკმაყოფილება, რათა ისინი შეუფერხებლად ერთვებოდნენ საგანმანათლებლო პროცესში. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ციფრული სერვისებით და გამართული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით.

<u>სტუდენტთა ჩართულობა</u> - აუცილებლად მიმაჩნია, უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების იმპლემენტირებაში, ეს იქნება პროგრამების დანერგვა, განახლება თუ სხვა მხარდამჭერი სერვისების დანერგვა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკაფიო და დეტალური გზამკვლევები სტატუსის მოპოვების, ცვლილების, განათლების აღიარების, სხვადასხვა რესურსზე წვდომის და მათი სხვა უფლებების შესახებ. საგანმანათლებლო პროცესი აუცილებლად უნდა გახდეს უფრო მეტად ინკლუზიური. ამ პრინციპის მეშვეობით უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს განათლების მიღების შესაძლებლობის მიცემა ყველასთვის. ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს წვდომა ხარისხიან განათლებაზე და დამხმარე სერვისებზე. ეს თავისთავად გულისხმობს მცირე წარმომადგენლობითი ჯგუფების მხარდაჭერას. ინკლუზიურობა წარმოადგენს კომპლექსურ ქმედებათა ერთობლიობას და არაერთი ნაბიჯია გადასადგემლი ამ მიმართულებით.

<u>ცვლილებების მიმღებლობა</u> - ცვლილებების პროცესი რიგ შემთხვევაში რთული და კომპლექსურია, მოსალოდნელია გარკვეული მიუღებლობა ცვლილებებისადმი და ტრადიციული მეთოდებისთვის უპირატესობის მინიჭება, რაც ართულებს ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლების სტრატეგიების დანერგვას. უნივერსიტეტმა განახლების თუ გაუმჯობესების პროცესები უნდა გაიაროს მაქსმიალურად ობიექტურად და სამართლიანად, რათა მხარეებს არ დარჩეთ უსამართლობის განცდა.

<u>შეფასება და ანგარიშვალდებულება -</u> ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების და სამოქედო გეგმის ეფექტურობა უნდა შეფასდეს რეგულარულად. ცხადია, ეს პროცესი რთულია, თუმცა რეგულარული მონიტორინგი აუცილებელი წინაპირობაა დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

საბოლოოდ, ნათელია, რომ უნივერსიტეტი დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, სწორედ ამიტომ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებლობაა უნივერსიტეტი დარჩეს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრების, დასაქმების, კვლევის, ინოვაციების მაღალი

მაჩვენებლით. რეპუტაციული მდგრადობა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგია, რა დროსაც უნივერსიტეტი მეტად მოიზიდავს საუკეთესო სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და სხვადასხვა სახის დაფინანსებას. ამ პროცესში ხელი უნდა შეეწყოს ინოვაციურ გარდაქმნებს და მოხდეს ინვესტირება ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებებით.

სამოქმედო გეგმა

ხარისხის უზრნველყოფის სამსახურს მისი საქმიანობის პროცესში აუცილებელია გააჩნდეს მკაფიო, დროში პროგნოზირებადი და აღსრულებადი სამოქმედო გეგმა, რათა ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილმა კონცეფციამ უპასუხოს პრაქტიკულ გამოწვევებს. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია პროცესების სწორი დაგეგმვა წინასაავტორიზაციო პერიოდში, რადგან უნივერსიტეტმა ზედმიწევნით უნდა დააკმაყოფილოს საავტორიზაციო სტანდარტები და მასთან დაკავშირებული უამრავი ქვეკომპონენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სამოქმედო გეგმას:

	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება (უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიის და სხვა მიმართულებების დამუშავება)	✓	✓		
ავტორიზაციის განაცხადის წარდგენა		✓		
სტუდენტთა რაოდენობის ზრდა		✓		
არსებული საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის პროცესის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება	✓	✓	✓	✓
სასწავლო კურსების, სასწავლო მასალისა და სასწავლო კურსებზე სტუდენტთა განაწილების შეფასება (გარე ექპერტების და პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების ჩართვით)	✓	✓		

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის ინტერნაციონალური) დანერგვის სტიმულირება	✓	✓	✓	✓
საგანმანათლებლო პროგრამებში, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით მუშობა	✓	✓	✓	✓
ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა	✓	✓	✓	✓
ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ინტერაქციის წახალისება და სტუდენტთა შეფასებისას უკუკავშირის მექანიზმების დახვეწა		✓	✓	
ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესებისთვის გასატარებელი ღონისძიებების კონცეფციის შექმნა/დახვეწა	✓	✓		
საგანმანათელბლო პროგრამების ელექტრონული პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა		✓		
უნივერსიტეტის ყველა რგოლს შორის კომუნიკაციის სისტემის ეფექტურობის ზრდა	✓	✓		
აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტების დახვეწისა და საჭირო ტრენინგებისა თუ სხვა ღონისძიებების ინიცირება	✓	✓	✓	✓

კუსრდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის (მათ შორის დასაქმების) მექანიზმების იმპლემენტირება და შედეგების კვლევა			✓	✓	✓
სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების შეფასება			✓		
აკადემიური პერსონალის საჭიროებების კვლევა და საჭირო ღონისძიებების გატარება			✓	✓	
კვლევების ინტერნაციონალიზაციის განვითარების ხელმშემწყობი ღონისძიებების ინიცირება	✓		✓		
უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების განვითარება და მხარდამჭერი სერვისების დანერგვა	✓		✓		
ახალი სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დანერგვაში მონაწილეობა (კომპეტენციის ფარგლებში)	✓				
ციფრულ სერვისებზე წვდომის ზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და იმპლემენტირება			✓	✓	✓

N 8241/10 28/03/2023

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის ანგარიშს.

დანართი: ,,29'' გვერდი

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის)

2022 წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)

ლაშა საღინაძე

2023

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

1. **უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის2023 წლის ბიუჯეტი მომზადდა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის,,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის', ',,პროგრამული ბიუჯეტისფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,'' უნივერსიტეტის წესდების,,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'' და სხვა ნორმატიული აქტებისსაფუძველზე.ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმისამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის2023 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესისშეუფერხებელი მიმდინარეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლებების,სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების დასტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებშიჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამულიბიუჯეტის ფორმატით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტი წარმოვაჩინოთგასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგებისთვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში. პროგრამულიბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციულისტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგისაშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე, ბიუჯეტი ორიენტირებული იყოსშედეგებზე და ამასთან იყოს ძალიან გამჭვირვალე და მარტივად აღქმადი.უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზომაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღებიშემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოსეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდანგანისაზღვრა 100 207 789 ლარით.

რაც შეეხება 2022 წლის ბიუჯეტს, საკუთარი სახსრებით გაწეულმა გადასახდელებმა შედგინა 67 498 669 ლარ. მათ შორის: უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა-20 761174 ლარი; ფაკულტეტებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხრჯმა შეადგინა 35 688 088 ლარი: მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის -7 827 755 ლარი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის- 6 718 065 ლარი; იურიდიული ფაკულტეტის -4 311 815 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის 5 327 201 ლარი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის -2 885 718 ლარი;

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის-1 915 763 ლარი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 6 701 751 ლარი.

ენების ცენტრის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 610 161 ლარი; სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 733 709 ლარი: მათ შორის: სტუდენტური პროექტების და ინოვაციების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 127 პროექტი 697166 ლარით. სტუდენტური სტიპენდიების პროგრამით გაწულმა ხარჯმა - საკუთარი სახსრებიდან შეადგინა 96 075 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 1 108 800 ლარი. (დაფინანსდა საშუალოდ 750 სტუდენტი 10 თვის განმავლობაში 150 ლარიანი სტიპენდიით). საუნივერსიტეტო დაფინანსებით სტუდენტებს სწავლა დაუფინანსდა 700 000 ლარით.

მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 23 007 007 ლარი. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის - 10 766 444 ლარი; საერთაშორისო გრანტების 2 622 231 ლარი, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების 7 074 822 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების- ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის (ჰაბი) ხარჯმა შეადგინა -82846 ლარი; ქართულ-ოსული ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის მხარდაჭერის, ააიპ სასწავლო კვლევითი ცენტრის ხარჯმა შეადგინა-134 586 ლარი; სხადასხავა პროექტების დაფინანსებაზე გაწეულმა ხარჯმა 1 281 459 ლარი.

აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 73 500 ლარი. პროფესიული განათლების განვითარების პროგრამით გაწეულმა ხარჯმა 821 607 ლარი; კულტურისა და სპორტის ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა 1 987 512 ლარი (მათ შორის: კალათბურთის ფედერაციის დაფინანსებიდან გაწეული ხარჯი 450 000 ლარი, სასპონსორო შემოსავლიდან გაწული ხარჯი 150 000 ლარი).

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 963 573 ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა თსუ საკუთარი სახსრებით 2 629 601 ლარი; ხოლო სამინისტროს დაფინანსებით 3 013 573 ლარი. მათ შორის თსუ საკუთარი სახსრებით შენობა -ნაგებობების რეაბილიტაციაზე გაწეულია 1 392 170 ლარის ხარჯი, ხოლო სამინისტროს დაფინანსებით 2 882 663 ლარის ხარჯი.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, პროგრამების აკრედიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 366 325 ლარი.

2022 წელს თსუ ეკონომიკური საქმიანობიდან შეძენილია 469 887 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 24200 ლარის პრინტერი, 11690 ფოტოაპარატები, 225000 ლარის წიგნები, 206120 ლარის პროექტორები და პროექტორის ციფრული პლანეტარიუმი, 146

200 ლარის ოპტიკური ხელსაწყო, 54 927 ლარის ვიდეო-აუდიო აპარატურა, 14418 ლარის სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები, 570628 ავეჯი, 95 931 ლარის კომპიუტერული პროგრამები და სხვა.

უნივერსიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და დონორი ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრებით შესყიდულ იქნა ახალი თანამედროვე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულს (LMS). ახალი სისტემის დანერგვაზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს;

2. ინფრასტრუქტურის განვითარება

დასრულდებაუნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის მასშტაბური/სრულისარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელზეც ჯამში დაიხარჯა 27 მლნ ლარამდე*(ამჟამად კომპანიის მხრიდან მიმდინარეობს დარჩენილი მცირე სამშაოების განხორციელება);*

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წელს განხორციელებული სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები

2021 წელს დაწყებული და 2022 წელს დასრულებული სამუშაოები

1. თსუ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის, ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სმარტლაბის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 144098.25 ლარი;

2. თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის, პირველი სასწავლო კორპუსის აუდიტორიების და კაბინეტების იატაკის და მე-7 სასწავლო კორპუსთან მდებარე სტადიონის გასახდელების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 62948.82 ლარი.

2022 წელს შესრულებული სამუშაოები

1. თსუ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები- 152803.92 ლარი;

2. თსუ ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები- 214303.33 ლარი;

3. თსუ მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის მეორე სართულის და საგამოცდო ცენტრის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები- 635100.65 ლარი;

4. თსუ პირველი სასწავლო კორპუსის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები. გადახდილი თანხა - 58998.54 ლარი;

5. თსუ პირველი, მე-8, მე-10 (მაღლივი), მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსების, ბიბლიოთეკის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 327611.66 ლარი;

6. თსუ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტის, ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 81235.67 ლარი;

7. თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა და შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 24 999.00 ლარი;

2022 წელს დაწყებული და 2023 წელს გადმოსული სამუშაოები:

1. თსუ რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტის მცხეთის რაიონის სოფელ მუხათგვერდში მდებარე ლაბორატორიის კორპუსის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის ფასადისა და შიდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3. თსუ ბაგების სტუდქალაქის კორპუსების სან-კვანძების სარეაბილიტაციო და სამზარეულოების მოწყობის სამუშაოები.

ამასთან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების რეაბილიტაცია ინსტიტუტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხელშეკრულების ღირებულება 3 521 000.00 ლარი.

ასევე მიმდინარეობს თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის და პროფესიული განათლების ცენტრისთვის ახალი შენობის ასაშენებლად საჭირო საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომ დაიწყება შესაბამისი პროცედურები სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით;

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში მოეწყო სტუდენტური სივრცეები, კერძოდ სივრცეები მოეწყო შემდეგ კორპუსებში:

უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეხუთე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეექვსე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეშვიდე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მერვე სასწავლო კორპუსში (სამეცნიერო სივრცე სტუდენტებისთვის);

უნივერსიტეტის მერვე სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის კორპუსში;

უნივერსიტეტის მეათე (ე.წ. მაღლივი) სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მეთერთმეტე (ე.წ. ბიოლოგები) სასწავლო კორპუსში;

უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში;

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;

2021 წელს, განხორციელდა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული **9 940 კგ.** მაკულატურისა და **83 460 კგ.** ჯართის რელიზება, ხოლო **500 კგ.** მაკულატურა და **15 814 კგ.** ჯართი განსაკარგავად გადაეცა სახელმწიფოს.

3. სტუდენტთა ხელშეწყობა

საუნივერსიტეტო დაფინანსებით დაფინანსდა 800- ზე მეტი სტუდენტი, პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 700 000 ლარი;

დაფინანსდა 127 სტუდენტური პროექტი, ბიუჯეტით 697166 ლარი.

სტუდენტური სტიპენდიების პროგრამით გაწულმა ხარჯმა -საკუთარი სახსრებიდან შეადგინა 96 075 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 1 108 800 ლარი. (დაფინანსდა საშუალოდ 750 სტუდენტი 10 თვის განმავლობაში 150 ლარიანი სტიპენდიით).

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობა მოიცავს 3 მიმართულებას: საერთო საცხოვრებელი; კარიერული და დასაქმების მხარდამჭერი სერვისები და ,,საბავშვო უნივერსიტეტი" (სკოლებთან ურთიერთობის სამსახური). ანგარიში მოიცავს თიოთოეული მიმართულების ძირითად მიღწევებს.

საერთო საცხოვრებელი:

- ლისის საერთო საცხოვრებელში ექსპლუატაციაში შევიდა მე-3 კორპუსი, რის შედეგადაც დამატებით 84 სტუდენტის საცხოვრისით უზრუნველყოფაა შესაძლებელი. ლისის საერთო საცხოვრებლის მესამე კორპუსი სრულად აღიჭურვა ავეჯით და ტექნიკით.

- 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრის ფინალური გამოცდების პერიოდში საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები გათავისუფლდნენ საცხოვრებლის საფასურისგან. აღნიშნული გადაწვეტილებას საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდომარეობა და საბინაო პოლიტიკა.

- ბაგების საერთო საცხოვრებელის ორივე კორპუსში დაიწყო სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია. ბაგების საერთო საცხოვრებელში დაიწყო საერთო სამზარეულო სივრცეების მოწყობა, რაც ითვალისწინებს მათ შორის შესაბამისი ტექნიკით სივრცეების აღჭურვას.

- ბაგების საერთო საცხოვრებელში გათბობის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა კუსტარული გამათბობლები, რომლებიც გარდა ელექტო ენეგრიის ხარჯისა ქმნიდა ხანძრის რისკებს. აღნიშნული სრულად ჩანაცვლდა თანამედროვე ელექტრო გამათბობლებით, რომელიც არის როგორც ენერგოეფექტური, ასევე უსაფრთხო.

- 2022 წელს მიმდინარეობდა სამართლებრივი დავა ბაგების საერთო საცხოვრებელში უკანონოდ მცხოვრები უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლების მიმართ. სასამართლომ დააკმაყოფილა თსუ-ის მოთხოვნა, მოქალაქეებმა დატოვონ უკანონოდ დაკავებული ფართი. უნივერსიტეტს მოთხოვნილი ქონდა აღნიშნული გადაწვეტილების დაუყონებლივ აღსრულება, რაც არ დაკმაყოფილდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააპროტესტა გადაწვეტილება სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში და ითხოვს გამოსახლების პროცედურის დაუყონებლივ აღსრულებას.

სტუდენტთა კარიერული და დასაქმების მხარდამჭერი და სხვა სერვისები:

- სტუდენტთა კარიერული განვითარების მიზნით 2022 წელს ჩატარდა კარიერის 7 კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 800 -მდე სტუდენტმა. კარიერის კვირეული მოიცავდა თემებს: შრომის ბაზრის ტენდენციები, CV -ის შექმნა, სამოტივაციო წერილის შექმნა, გასაუბრების უნარები. სტუდენტთა კარიერული განვითარების მიზნით 2022 წელს ჩატარდა ,,კარიერის მართვის" 17 ტრენინგკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 300 -მდე სტუდენტმა.

- 2022 წელს ჩატარდა 38 შეხვედრა დამსაქმებელსა და შესაბამისი პროფილის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის. 2022 წელს ცენტრის მიერ შესაბამისი პროფილის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გაიგზავნა 1953 აქტიური ვაკანსიის და სტაჟირების შესახებ ინფრომაცია. დამსაქმებლებთან უკუკავშირის შედეგად გაგზავნილი ვაკანსიების 78 % თსუ-ის სტუდენტებმა და კურსდამტავრებულებმა დაიწყეს მუშაობა ან გაიარეს სტაჟირება.

- 2022 წელს განხორციელდა პროექტი ,,თსუ ასისტენტი", რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მხარდაჭერას სასწავლო, ადმინისტრაციულ თუ სხვა საკითხებში. პროექტით ისარგებლა 400 მდე სტუდენტმა (ოქტომბერი-დეკემბერი)

- 2022 წელის დეკემბერში ჩატარდა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ფორუმი, სადაც მოწვეული იყო 42 პროფილური დამსაქმებელი. დასაქმების ფორუმის პარალელურად მიმდინარეობდა კაეირის ფორუმი, სადაც სტუდენტები და კურსდამთავრებულები ისმენდნენ კარიერიულ განვითარებასთან დაკავშირებულ მასტერკლასებს. ჯამში ფორუმში მონაწილეობა მიიღო 682 სტუდენტმა და კურსდამტავრებულმა.

4. სამეცნიერო-კვლევების და ინოვაციის ხელშეწყობა

2022 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტი (დონორი ორგანიზაციებია: შრსესფ, EC (H2020, Erasmus+), US (Embassy, NIH, USAID, US Department of State), The Norwegian Centre for International Cooperation in Education, და სხვა). თსუ დაფინანსებული პროექტების რაოდენობით ტრადიციულად ლიდერობდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოცხადებულ კონკურსებში. 2022 წლის კონკურსების შედეგების მიხედვით თსუ-ს მონაწილეობით 132 პროექტი დაფინანსდა. მაგალითად, ფუნდამენტური კვლევებისთვის საგრანტო კონკურსის ფარგლებში თსუ-მ მოიპოვა 33 პროექტი, რაც წილობრივად გამარჯვებული პროექტების მიმართ წარმოადგენს 29%, დოქტორანტურის კონკურსში 35 პროექტი - 36%, ხოლო მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (STEM) ფარგლებში თსუ-მ მოიპოვა 16 პროექტი, რაც წილობრივად გამარჯვებული პროექტების მიმართ წარმოადგენს 80%.

ევროკომისიის ონლაინ პლატფორმის ,,დაფინანსების და ტენდერების პორტალი“ (Funding and Tenders Portal) მონაცემებით ევროკომისიის ჩარჩო პროგრამების დაფინსებით 2022 წელს თსუ ჩაერთო 3 ახალ პროექტში (2 ERASMUS2027, 1 UCPM2027), ხოლო 18 პროექტი თსუ-ს მონაწილეობით წარდგენილი იყო ევროკომისიის სხვადასხვა კონკურსში. აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან ევროკომისიის HorizonEurope ფარგლებში წარდგენილი/მიღებული საპროექტო წინადადებების/პროექტების ადმინისტრირება დაევალა Horizon Europe თსუ სამეცნიერო საგრანტო ოფისს.

თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში Scopus-ის მიხედვით გამოქვეყნდა 524 სტატია (2023 წლის 10 მარტის მონაცემებით).

თსუ სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის და ხილვადობის გაზრდის მიზნით თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების და იურიდიული დეპარტამენტების ინიცირებით თსუ-ში ამოქმედდა აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მექანიზმები (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები 12/04 და 13/04, 19.05.2021), რომლის ფარგლებშიც 2022 წლის განმავლობაში 100-ზე მეტი აკადემიური პერსონალი და დოქტორანტი დაჯილდოვდა თსუ აფილირებით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის.

დეპარტამენტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ მონაწილეობა შემდეგ ვებინარებსა/სამუშაო შეხვედრებში/ტრენინგებში: სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის საკონსულტაციო შეხვედრა; ვებინარი „European Partnerships – involvement of Associated Countries”; ენერგეტიკული პოლიტიკის სამუშაო შეხვედრა - ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების მიმართულებით კვლევების და ინოვაციების ხელშეწყობა; „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამასთან დაკავშირებული შეხვედრები; პროექტის „CALIPER - მეცნიერებისა და ინოვაციის დაკავშირება გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა; EURAXESS საქართველოს საინფორმაციო შეხვედრა; ვებინარი "For Journal Editors and Publishers: How to increase the visibility of your scholarly journal"; ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობა და ენერგეტიკის პოლიტიკის მთავარი გამოწვევები; Conference EU-Georgia "Full involvement of Georgia in the Programme" Horizon Europe"; კომპანია Elsevier-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა; პროექტის "Transferring V4 expertise in knowledge/technology transfer" დასკვნითი, შედეგების გავრცელების ღონისძიება; ღონისძიება "ქალები ინოვაციაში"; Study in Europe-ის ფარგლებში ვირტუალური გამოფენა, მწვანე ინჟინერიის პროგრამებზე; სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრის ქიმია ბიოლოგიის მიმართულების თემატური სემინარი: მცენარეული მეორადი ნარჩენებისაგან ახალი მასალების მიღება და მათი გამოყენების სფეროების დადგენა; „New STI Funding Instruments: Technology Transfer and Commercialization Needs”"-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

ფონდის ორგანიზებით; საერთაშორისო საინფორმაციო დღე „საქართველოს სრულუფლებიანი წევრობა COST ასოციაციაში - ახალი შესაძლებლობები ქართველი მკვლევრებისთვის“; თსუ-ში გამართული საჯარო ლექციები საქართველოში “ვიშეგრადის ოთხეულის“ ფესტივალის ფარგლებში (უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის საელჩოების თანამშრომლობით); ტარტუს უნივერსიტეტის მიერ უკრაინელ და ქართველ მოქალაქეებისათვის შეთავაზებული ე.წ. მცირე ხარისხის პროგრამა ,,ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე სწავლებაში“ - ვებინარი; Clarivate -ის მიერ შემოთავაზებული ახალი ბაზების ონლაინ წარდგენა და ახალი სამეცნიერო პროდუქტების შეთავაზება; "ღია მეცნიერების ფორუმი"; ევროკომისია და ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს მსოფლიო ვებინარი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებისა და მისი გლობალური განზომილების შესახებ; EU Twinning project “Supporting inter-sectoral collaboration possibilities between Research and Industry”; მეცნიერების საერთაშორისო დღე; Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian School on Innovation and Risk Management, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; The 15th Annual International Conference of Education, Research and Innovation საერთაშორისო კონფერენციაზე ზეპირი მოხსენება - ,,კვლევების ხელშეწყობის აქტივობები, როგორც ვექტორი აღმასრულებელი საგანმანათლებლო ლიდერობის პრაქტიკისათვის“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს ეროვნული ოფისი, ჰორიზონტი ევროპის მე-5 და მე-6 კლასტერის საინფორმაციო დღე; IEEE UkrMW-2022: 2022 IEEE 2nd Ukrainian Microwave Week (online); ონლაინ შეხვედრა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტების საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით.

დეპარტამენტის ორგანიზებით და უშუალო ჩართულობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: Elsevier professional tools for working with scientific and technical information, effective search in ScienceDirect and Scopus; სემინარი „Elsevier“-ის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების მოხმარების შესახებ; ვორქშოფი Elsevier Research Connect, featuring Scopus and ScienceDirect“.

პერმანენტულად ტარდებოდა კონსულტაციები მინიმალურ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით დატვირთვასთან დაკავშირებით. ასევე, დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და ხელშეწყობით ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიზნით ხორციელდებოდა კონკრეტული ღონისძიებების გატარება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

მომზადდა და თსუ-ის ვებზე განთავსდა 2 ანგარიში: თსუ წლიური სამეცნიერო ანგარიში და თსუ სამეცნიერო აქტივობა 2022 წელს“.

თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ბაზაზე განხორციელდა:

ბრიტანეთის საბჭოს პროექტი: შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის. პროექტი დასრულდა. აქტივობები:

- BIG IDEA CHALLENGE - საერთაშორისო სტარტაპ კონკურსში ცენტრმა წარადგინა 10 სტუდენტური სტარტაპ იდეა. მათგან 2 გახდა გამარჯვებული.

- GEEA - საქართველოს სამეწარმეო განათლების ალიანსი: საკონსულტაციო შეხვედრები University Of West of England in Bristol-ის წარმომადგენლებთან.

- Creative Hub Leaders Online Training Programme 2022 - ტრენინგები და სასწავლო სასწავლო ვიზიტი ბრიტანეთში.

- „ინოვაციური მეწარმეობა“ - საგნის სილაბუსის შემუშავება. ბრიტანელ პარტნიორებთან University of Essex-იდან.

- Supporting Startup and Knowledge Exchange Activities in HEIs - ცოდნის/ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრებისა და სტარტაპების მხარდამჭერი აქტივობების როლს უმაღლესი განათლების ეკოსისტემაში.

პროექტის "Transferring V4 expertise in knowledge/technology transfer" ფარგლებში ტრენინგების კურსი საქართველოსა და სომხეთში, შემდეგ კი სასწავლო ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში.

ამერიკის საელჩოსა და ამერიკული საბჭოები საქართველოში პროექტის: "University Capacity Building Program"/„უნივერსიტეტის შესაძლებლობების განვითარების პროგრამა“ - მონაწილეობა ტრენინგებში და სასწავლო ვიზიტში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, სილიკონ ველის ექსპერტის, ენჯელ ინვესტორის მოწვევა და ტრენინგების სერიის გამართვა.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, შემუშავდა „კულტურული მემკვიდრეობის გიდი - ჩარჩო დოკუმენტი“ და გადამზადდა საქართველოში 150 მოქმედი და გიდობის მსურველი მოქალაქე.

ცენტრი საქართველოში პირველი NFT-ი ჰაკათონის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს და დაორგანიზეს სხვადასხვა სახის ტრენინგ-ციკლი.

- Techart Sessions – ინტენსიური სტარტაპ ბუთქემფი სტუდენტებისთვის -250 სტუდენტი

- Jet29 პრე-აქსელერაციის პროგრამა შემოქმედებით მეწარმეებისთვის - 200 სტუდენტი

- „დიზაინი გრადუსებში“ - გრაფიკული დიზაინის კურსი - 120 სტუდენტი

- სოციალური მედიის მარკეტინგის კურსი -150 სტუდენტი

GITA-სთან ერთად თსუ კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრებისათვის, საპროექტო განაცხადის წარდგენასა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე მუშაობა.

ERASMUS+ KA2-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD“ – „საქართველოს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ცენტრის ორი თანამშრომელი.

FabLab-ის დანადგარები გამოიყენეს და მომსახურება გაეწია ადმინისტრაციას, ფაკულტეტებს და კვლევით ცენტრებს. დამზადდა სხვადასხვა დასახელების ნივთები და პროექტები ფანერასა და ორგმინაზე.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

- 2022 წელს თსუ-ში ღონისძიებები გაიმართა როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. სულ წლის განმავლობაში გაიმართა 300-ზე მეტი ღონისძიება (კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები..), რომელიც აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებებით.

გარდა ამისა, მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედიამონიტორინგის მონაცემებით, 2022 წელს თსუ-სთან დაკავშირებული 4449 საინფორმაციო მასალა გავრცელდა მედიაში.

- უნივერსიტეტის ვებგვერდი ყოველდღიურად ახლდება როგორც მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციით, ასევე სამეცნიერო და სასწავლო სიახლეებით. თსუ Facebook-ზე განხორციელდა რამდენიმე კამპანია. მათ შორის: #პირველებისარჩევანი - თსუ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუებში საკუთარი წარმატების შესახებ ისტორიებს აუდიტორიას უზიარებდნენ, კამპანიის ფარგლებში თსუ-ში საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები, 10 ფეისბუქპოსტი მომზადდა, რომელიც გაზიარდა თსუ ლინკდინის ოფიციალურ გვერდზე. #გახდიპროფესიონალი #აირჩიეთსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების შესახებ მასალები მომზადდა და სოციალურ ქსელებში (facebook, linkedin, instagram) გავრცელდა; კამპანიის ფარგლებში სოციალურ ქსელებში განთავსდა 14 პოსტი. თსუ წარმატებულები - თსუ-ს სოციალური ქსელებისთვის წარმატებული სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების (ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონკურსებზე, სასტიპენდიო-საგრანტო კვლევითი პროექტებში გამარჯვება; სტატიების გამოქვეყნება; წიგნების გამოცემა და ა.შ.) შესახებ მომზადდა სტატიები და ე.წ. Story-ები; 2022 წელს სოციალურ ქსელ facebook-ის საშუალებით 198 000 (13 000-ით მეტი 2021 წელთან შედარებით) მომხმარებელი იღებდა ინფორმაციას.

ერთი წლის განმავლობაში თსუ Facebook-ზე დაიდო 800-მდე საინფორმაციო-საიმიჯო ინფორმაცია.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი Youtube არხი, რომელზეც მუდმივად თავსდება საჯარო ლექციები, სხვადასხვა შეხვედრების, საუნივერსიტეტო აქტივობების ამსახველი ვიდეომასალა. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს Instagram -ის ოფიციალური გვერდი, რომელსაც ამჟამად 6 500 -ზე მეტი გამომწერი ჰყავს,

ამჟამად მიმდინარეობს Linkedin - ის ანგარიშის გააქტიურება, რომელის მომხმარებელთა რაოდენობა 2021 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია.

- თსუ.Online ვებგვერდზე 2022 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 30 სტატია, რომელიც მომზადდა მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატების ისტორიებზე. მათ შორის მომზადდა მასალები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე თსუ-ელების წარმატებული საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში გამარჯვებული სტუდენტების, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის, სპორტული და კულტურული ცხოვრების შესახებ და სხვა. საშუალოდ თვეში 3-4 მასალა წარმატებულ კურსდამთავრებულზე.
- უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ, თსუ-ში უკრაინის მხარდამჭერი რამდენიმე აქტივობა განხორციელდა. კერძოდ: ვებგვერდსა და ფეისბუქზე განთავსებული თსუ გერბი გამოისახა უკრაინის დროშის ფერებში, თსუ ფეისბუქგვერდზე დაიწყო უკრაინის მხარდამჭერი კამპანია. თსუ სტუდენტებმა, პროფესორებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, სპორტსმენებმა უკრაინის მხარდამჭერ ჰუმანიტარულ აქციაში მიიღეს მონაწილეობა, მოგროვდა პირველადი დახმარების საგნები, ტანსაცმელი, საკვები. ღონისძიებები გაშუქდა როგორც სააგენტოებში, ასევე ტელე და რადიომედიაში. თსუ კაპელას მიერ შესრულებული უკრაინის ჰიმნის ვიდეოკლიპი ფართოდ გავრცელდა სოციალურ მედიაში, ასევე გავრცელდა ვიდეოკლიპი - კაპელას მიერვე შესრულებული უკრაინული ხალხური სიმღერა.
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2021 წლის 3400-მდე კურსდამთავრებულისთვის გამოშვების საზეიმო ღონისძიება ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა. ღონისძიება გაშუქდა მედიაში.
- წარმატებულ სტუდენტთა და მეცნიერთა წახალისების მიზნით გაიმართა ღონისძიებები, რომელიც გავრცელდა მედიაში.
- ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა თსუ საიმიჯო ბუკლეტები
- მე-14 სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი "შემოდგომის ლეგენდა" ახალ პარტნიორთან „შუხმანის მამულებთან“ ერთად კახეთში გაიმართა. ფინალისტების ნაწარმოებები გამოიცა კრებულის სახით.
- შემოქმედებითი პრაქტიკული კურსის "წერის არქიტექტურის" ფარგლებში მასტერ-კლასები ჩაატარეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებმა.
- სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „ლიტჰაიკერის“, რომლის პარტნიორი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა, მე-7 სეზონი გაიმართა. სტუდენტებმა კონკურსისთვის 10 ავტორის ბესტსელერები წაიკითხეს.
- გამოიცა თსუ პროფესორების ზეპირი ისტორიების კრებული - „ქრონიკები“.
- „სურვილების ნაძვის ხე“- საახალწლოდ თსუ ყველა კორპუსში დაიდგა ნაძვის ხე, რომელზეც თსუ სტუდენტები სურვილებს კიდებდნენ. თსუ პირველი კორპუსის საახალწლო მორთულობას და „სურვილების ნაძვის ხეს“ ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებსა და სტუდენტებში.

თსუ პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის/გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტის“რედაქცია წლის განმავლობაში გაზეთის სტატიების მომზადებასა და მათ ონლაინ გავრცელებას უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

2022 წლის ივნისის თვეში შეიქმნა პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის ახალი ვებ-გვერდი.

მედია ცენტრის ვებ-გვერდზე 2022 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით აიტვირთა 280-მდე საგაზეთო ექსკლუზიური სტატია, რაც ასევე ვრცელდებოდა სოციალური ქსელის მეშვეობით.

სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/Newspaper.tsu) 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით სულ აიტვირთა 435 სტატია (კვირაში თითქმის 10 ინფორმაცია);

1 ივნისს (ბავშვთა დაცვის დღეს) სპეციალური ჩანახატები/სტატიები მომზადდა და გავრცელდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილებზე;

2022 წლის სექტემბრიდან (პანდემიის დასრულების შემდეგ) გამოიცა და თსუ-ს კორპუსებში გავრცელდა გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ 3 (16 გვერდიანი) ნომერი (ბეჭდური სახით);

საახალწლო რუბრიკის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა, რის შედეგადაც მომზადდა 8 სტუდენტის პასუხები კითხვაზე - ,,რის შესრულებას ინატრებდით 2023 წელს“, რაზეც მომზადდა ვრცელი ინტერვიუ თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ლაშა საღინაძესთან - ,,სტუდენტების ნატვრებიდან თუ რის შესრულებას შეძლებს მომავალში ადმინისტრაცია?“

მომზადდა 2 კრებული: 1. ,,რისმაგ გორდეზიანი - 80“ და 2. ,,საჯარო ლექციების კრებული - 2021-2022“, რომელშიც შესულია 18 საჯარო ლექცია.

პროექტ ,,უნი-ვერსიას“ ფარგლებში მომზადდა და 15 რეგიონულ ტელევიზიაში ყოველკვირეულად ვრცელდებოდა:

14 დოკუმენტური ფილმი (აკაკი აბუთიძის ახალი წელი, რამაზ ქურდაძის ახალი წელი, ირმა რატიანი, გიორგი ლობჟანიძე, რევაზ ქვარცხავა, მიხეილ ნიორაძე, ესტატე ხმალაძე, თსუ გაზეთის ისტორიიდან ფაქტები, ელგუჯა ხინთიბიძე - 85, ქეთევან ხუციშვილი, დალი ფარჯანაძე - 80, დიალოგი მარინე ჩიტაშვილთან, გამოწვევები ქართულ სამედიცინო სამართალში, გუგული მაღრაძის ახალი წელი).

17 გადაცემა (სტუდენტური სურვილები და ადმინისტრაციის პასუხები (2 გადაცემა), საუნივერსიტეტო საახალწლო ამბები, თსუ - ქართული ენის დღე, სტუდენტური კინო-ტელე ფორუმი - 2022, გრაკლიანის ახალი აღმოჩენა, უნივერსიტეტის ქრონიკები (11 გადაცემა);

განხორციელდა 9 საჯარო ლექციის ჩაწერა (3 ლექცია - თინათინ ბოლქვაძე, ინესა მერაბიშვილი, გუგული მაღრაძე, ნანა ტონია, ნინო ჩიქოვანი, გოგი გოგოლაშვილი, ირინე ქურდაძე)

სულ: 40 (ფილმი, გადაცემა, საჯარო ლექცია).

პროექტის - ,,თოვლის ბაბუას გზავნილი“ - ფარგლებში მომზადდა თოვლის ბაბუას როლის შემსრულებლის ვაჟა ციცილოშვილის 30 პერსონალური ვიდეო-მიმართვა უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილებისთვის და 1 საერთო მიმართვა, რომლებიც თანამშრომლებს დაეგზავნათ.

შერჩეულ 8 სტაჟიორ თსუ-ს სტუდენტს ჩაუტარდა (3 თვე - ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) სტაჟირების კურსის ფარგლებში ლექცია - ,,ჟურნალისტიკა და პრაქტიკა“. ლექციის პარალელურად ჩვენი ცენტრის ვიდეო-გადაღებებში/მონტაჟში სტუდენტების მონაწილეობას და მათ პრაქტიკულ ჩართულობას ვაწარმოებდით, რისი დაგვირგვინებაც იყო სტუდიური საახალწლო გადაღება 8 სტუდენტის მონაწილეობით.

რეგიონული გაზეთების რედაქციების ხელთარსებულ სატელეფონო ბაზაზე განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა რეგიონებში, სადაც რეგიონული ტელევიზიების საშუალებით ვრცელდება გადაცემა - ,,უნი-ვერსია“. გამოიკითხა 230-მდე ადამიანი, რომელთაც კითხვარში დააფიქსირეს თავისი მოსაზრება;

6. საგამომცემლო საქმიანობა

თსუ გამომცემლობაში 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა რიგი აქტიობები,

კერძოდ:2022 წელს გამოიცა პირველი სხივის 2 ნომერი.

ბეჭდურად ან ელექტრონულად 199 დასახელების პუბლიკაციის გამოცემა განხორციელდა (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, შრომები, ილუსტრირებული ალბომი, თეზისები, კვლევა, ლექსიკონი, ბიბლიოგრაფია, სალექციო კურსი, რიდერი, კონფერენციის მასალები).

აქედან:

157 – გამოცემა არარეალიზებადია

31 – ელექტრონული ფორმატით,

23 – თვითდაფინანსების წესით

რეალიზებადია მხოლოდ 42 გამოცემა

წლის მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცემებია:

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო – ლია ქაროსანიძე

საგარეო პოლიტიკა, თეორიები, აქტორები, ქეისები – სტივენ სმიტტი და სხვები

მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია (პალეოლითის ეპოქიდან დღევანდელობამდე) – ლარი ნილი, რონდო კამერონი (რედაქტორი ავთანდილ სილაგაძე)

ურარტოლოგიური ძიებანი – მიხაკო წერეთელი

მართლწერის 80 რეკომენდაცია – თ. ვაშაკიძე

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (განმეორებითი ტირ.) – თ. ვაშაკიძე, ავ. არაბული

ქართული ენა -1 უცხოელთათვის მე-4 გამოცემა – რამაზ ქურდაძე

რეიგანი და მისი ათწლეული ვასილ. კაჭარავა

აკადემიური წერა ნინო შარაშენიძე, ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი

ჰიდროლოგიური ტერმინების სამენოვანი ლექსიკონი (რუსულ-ინგლისურქართული) – ნანა ბოლაშვილი

უნივერსიტეტი -ზ. გაიპარაშვილი (მეექვსე გამოცემა)

7. საბიბლიოთეკო საქმიანობა

2022 წელს თსუ საბიბლითეკო ფონდის გასამდიდრებლად გამოყოფილი იყო 225 000 ლარი, აქედან ათვისებულ იქნა 220 801,40 ლარი. შეძენილ იქნა 1393 დასახელების 3590 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა 4436 დასახელების 7722 წიგნი;

აღირიცხა და დამუშავდა 5583 დასახელების 10586 საბიბლიოთეკო ერთეული;

ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 12 963 საბიბლიოთეკო ერთეული და შეიქმნა 7849 ახალი ჩანაწერი; სულ განთავსებულია - 398 498 ერთეული დოკუმენტი და 231 847 ელექტრონული ბარათის ჩანაწერი.

დასკანერდა 850 საბიბლიოთეკო დოკუმენტი (145 459 გვერდი). სულ დასკანერებულია 15 000 დოკუმენტი; დასკანერდა და დამუშავდა ფოტოფირების 9000 კადრი. სულ დამუშავებულია 27 095 კადრი.

ელექტრონული საგნობრივი კატალოგისთვის დამუშავდა 6 ფაკულტეტის 517 სილაბუსის 2127 ერთეული ლიტერატურა და აიტვირთა საიტზე. შემოწმდა 297 სილაბუსის 539 ერთეული ძირითადი ლიტერატურა;

რესტავრაცია ჩაუტარდა 494 დოკუმენტს (11 463 ფურცელი) მათ შორის, 1820 წლის „პარაკლიტონი“ (ვახტანგის სტამბა); „სამოციქული“ 2 ეგზემპლარი; „დავითნი“ 20 ეგზემპლარი; რესტავრაცია ჩაუტარდა ასევე 210 სახელმძღვანელოს; ფაკულტეტების ბიბლიოთეკებიდან გადმოცემულ 34 წიგნს; 15 რარიტეტულ გაზეთს. გაიწმინდა და დეზინფექცია ჩაუტარდა 372 ერთეულ დოკუმენტს (73 895 გვ.).

2022 წელს სამკითხველო დარბაზებში განხორციელდა 5010 ვიზიტი; აბონემენტის განყოფილებაში ჩაეწერა 677 ახალი მკითხველი; მკითხველთა დავალიანებასთან დაკავშირებით ელ.ფოსტით გაიგზავნა 3526 ცნობა.

2022 წელს მოეწყო 1 გამოფენა - „თსუ ბიბლიოთეკაში დაცული კერძო კოლექციები“; , ვიდეო პროექტების ფარგლებში გაიმართა 4 საჯარო ლექცია. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა 602გვ.; პროექტების „ერთი დღე უნივერსიტეტში“ და „ავტორიტეტი“-ის ფარგლებში ჩაიწერა 12 რესპოდენტი; ჩატარდა ესეების 2 კონკურსი; მომზადდა და თსუ საიტზე აიტვირთა 190 უნივერსიტეტელი ავტორის ბიოგრაფია; მომზადდა და გამოიცა შალვა შავიანიძის კოლექციის აღწერილობა; გაიმართა მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო კითხვანი და მოხსენებები დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულად.

დაიბეჭდა ორენოვანი წიგნი ,,განათლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში (1918-1921)'' თბილისის მერიის მხარდაჭერით; გამოიცა ორტომეული „სოციალ-დემოკრატიული ბიბლიოთეკა“; ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

2022 წელს ელექტრონული სამეცნიერო ბაზებიდან - jstor, Science Direct, Econlit, TLG, Hinari და Agora გადმოწერილია 41 537 ფაილი; საძიებო სისტემით მოძებნილია 45 398 ფაილი; ebooks – ზე დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 17 628 ერთეულს.

8. საგარეო ურთიერთობები

2022 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები:

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა ინსტიტუციური თანამშრომლობის 25 ხელშეკრულება/მემორანდუმი,

ასევე, ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში მომზადდა 103 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 77 (ICM) პროექტი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება:

სხვადასხვა საგანმანათლებო საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების მიზნით მომზადდა განაცხადის პაკეტი და 2022 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდა უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციაში UNICA.

ასევე, უზრუნველყოფილი იქნა უმაღლესი განათლების საერთაშორისო ორგანიზაციებში (ევროპის უნივერსიტეტთ ასოციაცია /EUA, საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაცია/IAU, შავი ზღვის უნივერსიტეტთა ასოციაცია/BSUN, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო/AUF, კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU), ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS), თსუ-ს წევრობის ყოველწლიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების წარმართვა (კომუნიკაციის წარმოება, ფინანსური ანგარიშგება და ა.შ.).

საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 184 (ICM) პროექტს

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 80-მდე კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 159-მა სტუდენტმა და 100-მა პერსონალმა.

ასევე, დეპარტამენტის ორგანიზებით წლის განმავლობაში 2-ჯერ ჩატარდა ტესტირება 8 უცხო ენაში, რომელზეც დარეგისტრირებული იყო 946 სტუდენტი.

უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება

ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში 2022 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 96 უცხოელი სტუდენტის და 93 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც შეთავაზებული იქნა 210 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი მათი აკადემიური სფეროს

შესაბამისად არჩევის მიზნით; საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება; დაბინავების ხელშეწყობა.

გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია გრძელვადიანად 8 უცხოელი პედაგოგის ჩამოყვანას თსუ-ში (პორტუგალიური, ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების პედაგოგები ჰუმანიტარულ მეც. ფაკულტეტზე და ფრანგი ლექტორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე) აკადემიური საქმიანობის მიზნით და მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 26 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მრავალი დელეგაციის მიღება-მასპინძლობას, ასევე ათეულობით უცხოელი სტუმრის საქმიან ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.

9. საინფორმაციო ტექნოლოგიები

2022/2023 წლის დასაწყისამდე სასწალო პროცესში აქტიურად გამოიყენებოდა ონლიან რეჟიმში წარმართვისთვის შეძენელი zoom -ის პლატფორმის 500 ერთეული ლიცენზია;

უნივერსიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2022 წელს ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები (სახსრები მოზიდული იქნება ასევე დონორი ორგანიზაციებიდან) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შეცვლის მიზნით.

ამასთან, წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- თსუ-ს ბიბლიოთეკის შენობაში მომუშავე საგამოცდო ცენტრისათვის 2 ოთახში მოეწყო კაბელური კომპიუტერული ქსელი და დამატებით დამონტაჟდა უსადენო წვდომის აპარატურაც

- განხორციელდა სან-დიეგოს უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია თსუ-ს ქსელში.

- თსუ-ს მე-2 კორპუსში რემონტით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში გაიმართა ცენტრალური კომუტატატორების კლასტერი და ასევე ხორციელდებოდა მონიტორინგი კომპანია დაგის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე

- მოდიფიცირდა კომპიუტერული ქსელი თსუ მედიცინის ფაკულტეტზე (მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობა). დამონტაჟდა მძლავრი უსადენო წვდომის წერტილები.

- თსუ მე-7 კორპუსში განხორციელდასპორტული მოედნის მიმდებარე შენობა - ბაგებობაში დამატებითი ინტერნეტის წვდომის მოწყობა უსადენო წვდომის წერტილის მეშვეიბით.

მოხდა ვებ ჰოსტინგით უზრუნველყოფა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისთვის:

- პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისთვის EAS.TSU.GE ჟურნალის ვებ საიტისთვის სივრცის გამოყოფა, დომენის და ელექტრონული ფოსტის შექმნა.

- მედიცინის ფაკულტეტის კონფერენციის ვებ საიტისთვის tcm-conference.tsu.ge სივრცის გამოყოფა, დომენის და ელექტრონული ფოსტის შექმნა.

- მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სიმპოზიუმის ვებ საიტისთვის pic2022.tsu.ge სივრცის გამოყოფა, დომენის შექმნა და ელექტრონული ფოსტის შექმნა.

- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ თსუს თანაორგანიზატორობით ჩატარებული მსოფლიო ლიტერატურის კონგრესის ვებ საიტისთვის icla2022-tbilisi.ge დროებით სივრცის გამოყოფა.

- მედიცინის ფაკულტეტის კონფერენციის ვებ საიტისთვის wsotbilisi2022.tsu.ge სივრცის გამოყოფა, დომენის და ელექტრონული ფოსტის შექმნა.

- არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებული კონგრესის ვებ საიტისთვის congress.caucasology.tsu.ge სივრცის გამოყოფა, დომენის შექმნა და ელექტრონული ფოსტის შექმნა.

განყოფილებაში მომზადებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა სხვადასხვა პროგრამული თუ აპარატურული საშუალებების შეძენა და დანერგვა. მათ შორის:

- ინტერნეტ სერვისებისა და IP ტელეფონიის სატენდედერო შესყიდვა თსუ სასწავლო კორპუსების, შემოერთებული ინსტიტუტებისა და რეგიონალური ოფისებისათვის.

- უსაფრთხოების SSL-სერტიფიკატების განახლება *.tsu.ge დომენისთვის.

- უსაფრთხოების სისტემების (Fortigate და Fortiweb) ლიცენზიის შესყიდვა და გააქტიურება.
- ანტივირუსის (Eset NOD32) ლიცენზიების განახლება 1500 მომხმარებლისათვის.
- განხორციელდა ახალ შეძენილ სერვერებით აწყობილ VSAN კლასტერში ძველი VSAN კლასტერიდან ვირტუალური სერვერების გადანაწილება.
- ახალ დანერგილ devops(K8S,Gitlab) სისტემაში საიტების გადატანა.
- Backup_ისთვის განკუთვნილ ახალ Storage_ზე(დისკების მასივი) ვირტუალური სერვერების დარეზერვების გადამისამართება.

გარდა ზემოთჩამოთვლილი ამოცანებისა, ქსელის და სერვერული სისტემების განყოფილება წლის განმავლობაში აგრძელებდა ყოველდღიურ საქმიანობას შემდეგ მიმართულებებზე:

- მონაცემთა ცენტრის ფიზიკური და ვირტუალური ინფრასტრუქტურის მართვა
- თსუ-ს კაბელური და უკაბელო ქსელური ინფრასტრუქტურის მართვა
- სარეზერვო კოპირების და არქივაციის სისტემების მართვა
- საუნივერსიტეტო ელექტრონული სერვისების, აპლიკაციების და მონაცემთა ბაზების ტექნიკური მხარდაჭერა, მ.შ. სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პროცესში
- თსუ-ს მთავარი ვებ-გვერდის და ვებ-ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერა
- ცალკეული ქსელის წერტილების დამატება და გამართვა თსუ-ს პრაქტიკულად ყველა კორპუსში თანამშომლების მოთხოვნის საფუძველზე
- ბიოლოგების კორპუსში ბიოქიმიის მიმართულებაზე არსებული ფართის დაქსელვა ინტერნეტის კაბელით (დაახლოებით 11-12 ყუთი კაბელი დაიხარჯა);
- სერვის დესკის პროგრამულ უზრუნველყოფის ყიდვა და მოხმარებაში ჩასაშვებად გამზადება.
- კონსოლიდირებული ტენდერიდან + გრანტებიდან შემოსულ კომპიუტერებზე (ბევრი იყო) სისტემების და პროგრამული პაკეტების ინსტალაცია.
- სასწავლო წლის დასაწყისში ყველა ახალი სტუდენტებისთვის ელ. ფოსტების გამზადება;

გარდა ამისა შევასრულეთ სტანდარტული სამუშაოები:

- პროგრამულ და აპარატურულ ნაწილში თანამშრომლების დახმარება
- საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია/მონტაჟი დანარჩენ კორპუსებში.
- საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების მოწყობილობების მხარდაჭერა

10. უწყვეტი განათლება

- თსუ ადმინისტრაციული პერსონალისათვის ჩატარდა 5 ტრენინგკურსი:

1. გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა
2. თანამედროვე მენეჯერის უნარები
3. სოციალური მედიის მართვა
4. ქსელური ფაერვოლი Fortinet Fort iGATE NGFW
5. Excel, Power Point

- დამტკიცდა 12 ახალი კურსი.
- ზრდასრულთათვის ჩატარდა 13 სასერტიფიკატო და 28 ტრენინგკურსი.
- გაიზარდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების ბენეფიციართა რაოდენობა (ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები).
- ცენტრის საქმიანობიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა: 175 834 ლარი.

11. კულტურა და სპორტი

2022 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები/შედეგები :

2022 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაიწყო, განახლდა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სპორტული გუნდებისა და შემოქმედებითი ანსამბლების შემადგენლობა. ვინაიდან გასულ წელს კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებმა მკვეთრად შეაფერხა დეპარტამენტის საქმიანობა. დაგეგმილი ღონისძიებების აბსოლუტური უმრავლესობა ჩაიშალა, რადგან ყველა აქტივობა ცალსახად ორიენტირებული იყო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, რომელთაც, თავის მხრივ შეეზღუდათ სააუდიტორიო მეცადინეობები.

თსუ - შიმოქმედებს შემოქმედებითი ანსამბლები: ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'', ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' , გოგონათა ტრადიციულ - ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' , თეატრი ,,სხვენი'' , მომღერალთა გუნდი ,,კაპელა''.

2022 წელს ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' მიწვეული იყო ესპანეთში, სომხეთში, დუბაისა და თურქეთში .

2022 წელს აღინიშნა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, სომხეთის საელჩოდან მივიღეთ მოწვევა თსუ-ის ვაჟთა ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მოწვევის შესახებ ქ. ერევნის არამ ხაჩატურიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში („ფილარმონია“) ერთობლივი კონცერტის გამართვის მიზნით .

ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' 2022 წლის 17 ივლისიდან - 20 აგვისტოს ჩათვლით ასევე მიწვეული იყო ესპანეთში ,კულტურული ღირებულებების გაცვლით პროგრამის ფარგლებში, რომელიც გაიმართა ესპანეთის 5 ქალაქში.

თეატრალურმა დასმა ,,სხვენი'' 2022 წელს წარმოადგინა რამდენიმე სპექტაკლი განსაკურებულ აღნიშვნას იმსახურებს “ვთამაშობთ სამანიშვილს” რეჟისორი - გ. გომურაშვილი .

2022 წელს კალათბურთის გუნდი საქართველოს სუპერლიგის ნახევარფინალში გავიდა და გადამწყვეტ მატჩში 1 ქულით დამარცხდა. საკალათბურთო კლუბი ,,თსუ'' და ფუტსალის გუნდი ,,თსუ'' 2022 წელს უმაღლესი ლიგის ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდა. 2022 წელს თსუ-ს ფუტსალის სტუდენტური გუნდი საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონი გახდა, 2022 წლის უნივერსიადაზე გოგონათა გუნდმა მე-3 ადგილი მოიპოვა, ხოლო ვაჟთა გუნდი მე-2 ადგილზე გავიდა.

2022 წლის ზაფხულში, ივლისი-აგვისტოს პერიოდში ჩატარდა პროექტი „გადავცურავ ტბას“, რომლის ფარგლებში განხორციელდა არაერთი გასვლა შემდეგი მიმართულებით:

- აბუდელაურის ფერატი ტბები - ამ გასვლის ფარგლებში სტუდენტებმა

მოინახულეს მცხეთა-მთიანეთის მხარეში მაღალმთიანი სოფელი როშკა,

პანორამული ხედები ჭაუხებზე, აბუდელაურის მწვანე, ლურჯი და

თეთრი ტბები.

- ტანიეს ტბა - მსვლელობისას სტუდენტებმა დაათვალიერეს

ხევსურეთი, მცხეთა მთიანეთის მხარე, ნახეს სოფელი გუდანი,

არხოტის ხეობა, ტანიეს უღელტეხილით გადავიდნენ ტანიეს ტბაზე.

- ქორულდების ტბა - სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცნოთ

სვანეთის არაჩვეულებრივი ბუნებდა, დაათვალიერეს დაბა მესტია,

ქორულდების ტბები, დატკბნენ კავკასიონისა და უშბის ულამაზესი

პანორამული ხედებით.

- უძირო ტბა - სტუდენტები ესტუმრნენ რაჭის რეგონს, მსვლელობა

დაიწყეს სოფელ შოვიდან, კატიწვერას უღელტეხილით გადავიდნენ

უძირო ტბაზე, ნახეს მწვერვალი კატიწვერა, თვით უძირო ტბა და

|თვალწარმტაცი ხედები, მსვლელობა დაასრულეს სოფელ გლოლაში.

2022 წლიდან შეიქმნა „მოლაშქრეთა კლუბი თსუ“, რომელიც აქტიურად აწყობს გასვლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

12. სამუზეუმო საქმიანობა

თსუ მუზეუმის მუშაობა, პანდემიის მინავლების კვალობაზე კვლავ გააქტიურდა და ჩადგა ჩვეულ კალაპოტში. გასულ საანგარიშო წელს განახლდა ახლადშემოსული ექსპონატების სათანადო წესით აღრიცხვა და მოამზადა რამდენიმე დროებითი გამოფენა. პარალელურად ვიზიტორებსაც მასპინძლობდა.

არქეოლოგიის მუზეუმის ახალ დარბაზში განთავსებულ კოლექციას გაუკეთდა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) გადასვლა ანოტაციები, მოხდა ვიტრინებში განთავსებული არტეფაქტების თემატური გადაჯგუფება, რამაც უფრო ინფორმაციული და შინაარსიანი გახადა ექსპოზიცია. გამოფენილი კოლექცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი სტუმარს წარვუდგინოთ და უძველესი ქართული კულტურა გავაცნოთ.

თსუ მუზუემის ქვედანაყოფებში სათანადო წესით აღირიცხებოდა შესაბამისი პროფილის არტეფაქტები. გარდა ამისა მუზეუმი სისტემატურად ატარებდა საგანმანათლებლო მუშაობას:

1. ეწყობოდა სხვადასხვა მოვლენებისადმი თუ ღირსახსოვარი თარიღებისადმი მიძღვნილი დრეობითი გამოფენები (8 ერთეული), რომელიც დაათვალიერა თსუ სტუდენტებმა და თბილისის საჯარო სკოლის მოწაფეებმა;

2. თსუ მუზეუმის თანამშრომლები სისტემატურად მასპინძლობდნენ უცხოელ და ქართველ მკვლევარებს, უწევდნენ მათ კონსულტაციას და აცნობდნენ ფონდებში დაცულ მასალებს;

3. დახმარებას უწევდნენ კინოგადამღებ ჯგუფებს უნივერსიტეტის ამაგდარი პროფესორების შესახებ ფილმების მომზადებისათვის;

4. საექსკურსიო მომსახურებას უწევდნენ როგორც ინდივიდაუალურ ვიზიტორებს, ისე ორგანიზებულ ჯგუფებს.

13. პროფესიული განათლება

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრი ორ ლოკაციაზე (თბილისსა და ქუთაისში).

მოცემულ ეტაპზე ცენტრი ადმინისტრირებას უწევს 15 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ორივე ლოკაციაზე. ასევე ცენტრი წარმატებით ახორციელებს 9 პროფესიული მომზადების პროგრამას და 1 პროფესიული გადამზადების პროგრამას (ყველა პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების ((02/06/2021) „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) საფუძველზე უკვე 2 წელია ცენტრის მიერ ახალი წესით ხორციელდება აპლიკანტების შერჩევა.

2022 წელს ორივე ლოკაციაზე 1869 აპლიკანტი დარეგისტრირდა, საიდანაც შეირჩა და ჩაირიცხა 370 პროფესიული სტუდენტი.

2022 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 246 კურსდამთავრებულს, 31 მსმენელმა დაასრულა მოკლევადიანი მომზადების პროფესიული პროგრამა, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმთელობა და უსაფრთხოება“ დაასრულა 100 მსმენელმა.

საანგარიშო პერიოდში:

განხორციელდა თბილისის ლოკაციაზე მიმდინარე შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;

დამტკიცდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი;

დამტკიცდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი;

განხორციელდა განახლებული ელექტრონული კითხვარის გამოყენებით პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, დამსაქმებლების, მასწავლებლების და კურსდამთავრებულთა

გამოკითხვა, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები;

განხორციელდა შშმ პირის სტატუსით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მონიტორინგი, მონიტორინგის შეგების საფუძველზე გაუმჯობესდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურა;

პროფესიული პროგრამების მასწავლებლებითვის, ხელმძღვანელებისთვის (თბილისი, ქუთაისი) ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები და საინფორმაციო ტრენინგები სწავლა სწავლების მიმართულებით;

განახლდა პროფესიული პროგრამების კატალოგი;

პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა 2019-2020 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელიც 2023 წელსაც გაგრძელდება.

მუდმივად მიმდინარეობს ცენტრის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის განახლება ქართულ და ინგლისურ ენაზე.

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისთვის. 2022 წლის განმავლობაში თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ცენტრის ინიციატივით, Ida-Virumaakutsehariduskeskus (იდა-ვირუმაა) პროფესიული განათლების ცენტრთან (ესტონეთი) გაიმართა არაერთი შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის საკითხების გაღრმავების მიზნით, ხოლო 2022 წლის სექტემბერში განხორციელდა Ida-Virumaakutsehariduskeskus (იდა-ვირუმაა) პროფესიული განათლების ცენტრის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი თსუ-ში და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მხარეებს შორის.

ცენტრი აქტიურად მუშაობს თბილისის და ქუთაისის ლოკაციაზე ახალი პროფესიული პროგრამების და მოკლევადიანი პროფესიული მომზადების, გადამზადების პროგრამების დამატების მიმართულებით.

14. საბავშვო უნივერსიტეტი

- 2022 წელს საბავშვო უნივერსიტეტმა ჩაატარა 32 ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო საქართველოს 872 საჯარო და კერძო სკოლის 10 000 მოსწავლე. ღონისძიებები მოიცავდა ექსკურსიებს უნივერსიტეტში, ლაბორატორიულ მეცადინეობებს, საკვირაო სკოლებს. ზამთრის და ზაფხულის სკოლებს, კონფერენციებსა და კონკურსებს

- 2022 წელს საბავშვო უნივერსიტეტი ქვეყნის რაიონებში ატარებდა უნივერსიტეტის ,,ღია კარის“ დღეებს. სულ ჩატარდა 30 გასვლითი შეხვედრა

- პროექტ ,,თსუ დესპანში“ 2022 წელს ჩართული იყო 120 დესპანი, რომელმაც საქართველოს მაშტაბით 200-მდე სკოლაში ჩაატარა უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები.

- საბავშვო უნივერსიტეტი 2011 წლიდან წევრია ევროპული უნივერსიტეტების საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანების.(EUCUNET). საბავშვო უნივერსიტეტი ამიერკავსკასიიდან EUCUNET-ის ერთადერთი წევრია. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ თსუ საბავშო უნივერსიტეტმა EUCUNET-ს მიმართა უკაინის მხარდამჭერი განცხადებით, რაც ყველა წევრის მიერ (გამონაკლისია რუსეთი) ერთხმად იქნა მიღებული.